ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ა ც ხ ა დ ე ბ ს

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით (მიკროავტობუსები) ნებართვის მაძიებელთა კონკურსს

- ✓ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსში შემდეგ სამარშრუტო ხაზებზე: N23, N24, N25, N28, N31, N32, N33, N34, N36, N39, N40, N44, N45, N46, N49 და N56 მონაწილეთა განცხადებების მიღება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად იწარმოებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში, 2023 წლის 26 ოქტომბრიდან - 27 ოქტომბრის ჩათვლით დილის 10:00 სთ-დან საღამოს 17:00 სთ-მდე, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25;
- ✓ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, საკონკურსო კრიტერიუმების მიხედვით M2 კატეგორიის (მიკროავტობუსის) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შეფასება მოხდება შემდეგ მისამართზე: ქ.ბათუმი, ჟ.შარტავას ქ. N13 (აჭარა-ბეთ არენას მიმდებარე ტერიტორია) 2023 წლის 6 ნოემბრიდან - 10 ნოემბრის ჩათვლით, დილის 10:00 სთ-დან საღამოს 15:00 სთ-მდე. აღნიშნული პერიოდის შუალედში კონკურსში მონაწილე ნებართვის მაძიებელ პირებს დამატებით, ზუსტად ეცნობებათ მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შეფასების დროის განრიგი სამარშრუტო ხაზების მიხედვით.